საქართველოს შინაგან საქმეთა მინისტრის
ბ რ ძ ა ნ ე ბ ა

19/ 10 2016 წ. თბილისი № 584

2016 წლის 22 და 30 ოქტომბერს გასამართი საქართველოს პარლამენტისა და აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის უმაღლესი საბჭოს არჩევნებისა და ადგილობრივი თვითმმართველობის აღმასრულებელი ორგანოების - მერისა და გამგებლების რიგგარეშე არჩევნების განმეორებითი კენჭისყრის/მეორე ტურებისა და ადგილობრივი თვითმმართველობის წარმომადგენლობითი ორგანოების საკრებულოების - შუალედური არჩევნების უსაფრთხო და თავისუფალ გარემოში ჩატარების უზრუნველსაყოფად საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს მიერ ზოგიერთი ღონისძიების განხორციელების თაობაზე

2016 წლის 22 და 30 ოქტომბერს გასამართი საქართველოს პარლამენტისა და აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის უმაღლესი საბჭოს არჩევნებისა და ადგილობრივი თვითმმართველობის აღმასრულებელი ორგანოების - მერისა და გამგებლების რიგგარეშე არჩევნების განმეორებითი კენჭისყრის/მეორე ტურებისა და ადგილობრივი თვითმმართველობის წარმომადგენლობითი ორგანოების საკრებულოების - შუალედური არჩევნების უსაფრთხო და თავისუფალ გარემოში ჩატარების უზრუნველსაყოფად საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს მიერ რისკების სწორად შეფასების, სამართალდარღვევების პრევენციის და მათზე დროული რეაგირების მიზნით, „პოლიციის შესახებ“ საქართველოს კანონის მე-5 მუხლის მე-3 პუნქტისა და „საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს დებულების დამტკიცების შესახებ“ საქართველოს მთავრობის 2013 წლის 13 დეკემბრის №337 დადგენილებით დამტკიცებული დებულების მე-5 მუხლის მე-2 პუნქტის „ა“ და „ნ“ ქვეპუნქტების საფუძველზე

ვ ბ რ ძ ა ნ ე ბ:

მუხლი 1. 2016 წლის 22 და 30 ოქტომბერს გასამართი საქართველოს პარლამენტისა და აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის უმაღლესი საბჭოს არჩევნებისა და ადგილობრივი თვითმმართველობის აღმასრულებელი ორგანოების - მერისა და გამგებლების რიგგარეშე არჩევნების განმეორებითი კენჭისყრის/მეორე ტურებისა და ადგილობრივი თვითმმართველობის წარმომადგენლობითი ორგანოების საკრებულოების - შუალედური არჩევნების უსაფრთხო და თავისუფალ გარემოში ჩატარების უზრუნველსაყოფად განსახორციელებელი ღონისძიებები

1. 2016 წლის 22 და 30 ოქტომბერს გასამართი საქართველოს პარლამენტისა და აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის უმაღლესი საბჭოს არჩევნებისა და ადგილობრივი თვითმმართველობის აღმასრულებელი ორგანოების - მერისა და გამგებლების რიგგარეშე არჩევნების განმეორებითი კენჭისყრის/მეორე ტურებისა და ადგილობრივი

თვითმმართველობის წარმომადგენლობითი ორგანოების საკრებულოების - შუალედური არჩევნების (შემდგომ - არჩევნები) უსაფრთხო და თავისუფალ გარემოში ჩატარების ხელშეწყობის მიზნით, არაუგვიანეს 2016 წლის 21 ოქტომბრისა საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს (შემდგომ – სამინისტრო) აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის, მცხეთა-მთიანეთის, შიდა ქართლის, ქვემო ქართლის, კახეთის, სამცხე-ჯავახეთის, იმერეთის, რაჭა-ლეჩხუმისა და ქვემო სვანეთის, გურიის, სამეგრელო-ზემო სვანეთისა და ქალაქ თბილისის პოლიციის დეპარტამენტების სამოქმედო ტერიტორიებზე შეიქმნას სამართალდარღვევების პრევენციისა და მათზე რეაგირებისთვის პასუხისმგებელი ჯგუფები (შემდგომ – ტერიტორიული ჯგუფი).

2. ტერიტორიული ჯგუფის შემადგენლობაში შედიან:

ა) სამინისტროს ტერიტორიული ორგანოს დირექტორი;

ბ) საპატრულო პოლიციის დეპარტამენტის შესაბამისი ტერიტორიული დანაყოფის ხელმძღვანელი;

გ) ცენტრალური კრიმინალური პოლიციის დეპარტამენტის შესაბამისი ტერიტორიული დანაყოფის ხელმძღვანელი;

დ) განსაკუთრებულ დავალებათა დეპარტამენტის შესაბამისი ტერიტორიული დანაყოფის ხელმძღვანელი;

ე) სსიპ – დაცვის პოლიციის დეპარტამენტის შესაბამისი ტერიტორიული დანაყოფის ხელმძღვანელი;

ვ) სსიპ – საგანგებო სიტუაციების მართვის სააგენტოს შესაბამისი ტერიტორიული დანაყოფის ხელმძღვანელი.

3. ტერიტორიული ჯგუფის ხელმძღვანელობა და სამინისტროსთან მუდმივი კოორდინაციის უზრუნველყოფა დაევალოს სამინისტროს იმ ტერიტორიული ორგანოს დირექტორს, რომლის სამოქმედო ტერიტორიაზეც მოქმედებს ტერიტორიული ჯგუფი.

4. ტერიტორიულ ჯგუფს ოპერატიულ მართვაში გადაეცეს მის სამოქმედო ტერიტორიაზე განთავსებული სამინისტროს ყველა დანაყოფი (შემდგომ - საპოლიციო ძალები), გარდა სამინისტროს მმართველობის სფეროში შემავალი სახელმწიფო საქვეუწყებო დაწესებულების – საქართველოს სასაზღვრო პოლიციისა და სამინისტროს მმართველობის სფეროში მოქმედი საჯარო სამართლის იურიდიული პირის - მომსახურების სააგენტოსი.

5. ტერიტორიულმა ჯგუფმა მის სამოქმედო ტერიტორიაზე უზრუნველყოს:

ა) არჩევნების უსაფრთხო და თავისუფალ გარემოში ჩატარების ხელშეწყობის მიზნით მოსალოდნელი საფრთხეების, მათი გამომწვევი მიზეზებისა და რისკების მუდმივი შეფასება და მის შესაბამისად პოლიციელთა მიერ გასატარებელი ღონისძიებების დაგეგმვა და განხორციელების ორგანიზება;

ბ) არჩევნების დღეს როგორც კენჭისყრის მიმდინარეობისას, ასევე ხმების დათვლის პროცესის დროს კენჭისყრის შენობის მიმდებარე ტერიტორიაზე პოლიციელთა შესაძლო გამოცხადების მიზნით უსაფრთხოების გეგმის შემუშავება და ამ გეგმის შესაბამისად საპოლიციო ძალების კენჭისყრის შენობის მიმდებარე ტერიტორიასთან ახლოს განლაგება ისე, რომ საჭიროების შემთხვევაში დროულად მოხდეს სამართალდარღვევების პრევენცია და მათზე რეაგირება;

გ) საუბნო საარჩევნო კომისიის თავმჯდომარის დასაბუთებული მოთხოვნის შემთხვევაში – საქართველოს ორგანული კანონის „საქართველოს საარჩევნო კოდექსი“ 59-ე მუხლის მე-6 პუნქტის შესაბამისად საარჩევნო დოკუმენტაციის, მათ შორის, საარჩევნო ბიულეტენების, უსაფრთხო გადაადგილება (გაცილებისა და დაცვის ორგანიზება);

დ) არჩევნების პერიოდში გამოვლენილ სამართალდარღვევებზე დროული და ეფექტიანი რეაგირების ორგანიზება საქართველოს კანონმდებლობის შესაბამისად.

6. დაევალოს:

ა) ტერიტორიული ჯგუფის შემადგენლობაში არსებული დანაყოფების ხელმძღვანელებს, კომპეტენციის ფარგლებში უზრუნველყონ საარჩევნო კანონმდებლობის, აგრეთვე საარჩევნო პერიოდში საზოგადოებრივი წესრიგის დარღვევის თაობაზე ინფორმაციის უშუალო ხელმძღვანელისათვის დაუყოვნებლივ მიწოდება;

ბ) სამინისტროს სტრუქტურული ქვედანაყოფების, ტერიტორიული ორგანოების, სამინისტროს მმართველობის სფეროში შემავალი სახელმწიფო საქვეუწყებო დაწესებულების – საქართველოს სასაზღვრო პოლიციის და სამინისტროს მმართველობის სფეროში მოქმედი საჯარო სამართლის იურიდიული პირების ადამიანური რესურსების მართვისთვის პასუხისმგებელ პირებს, არ დაუშვან 2016 წლის 30 ოქტომბრის ჩათვლით ხელმძღვანელ თანამდებობის პირთა (სამმართველოს უფროსის მოადგილე და მასზე მაღალი თანამდებობის პირები, აგრეთვე მათთან გათანაბრებული პირები) საკადრო გადაადგილება, გარდა მათი უფლებამოსილების ვადის გასვლის ან/და მათ მიერ კანონის დარღვევის შემთხვევებისა;

გ) პოლიციელებს, დაიცვან პოლიტიკური ნეიტრალობის პრინციპი. დაუშვებელია, პოლიციელის ქმედება პირდაპირ ან არაპირდაპირ მიმართული იყოს რომელიმე პოლიტიკური პარტიის საწინააღმდეგოდ ან მხარდასაჭერად.

მუხლი 2. არჩევნების დღეს კენჭისყრის შენობის მიმდებარე ტერიტორიაზე საპოლიციო ღონისძიებების განხორციელების საფუძვლები და პირობები

1. საქართველოს ორგანული კანონის „საქართველოს საარჩევნო კოდექსი“ 59-ე მუხლის მე-7 პუნქტით გათვალისწინებულ გამონაკლის შემთხვევაში საპოლიციო ძალებმა არჩევნების დღეს კენჭისყრის შენობის მიმდებარე ტერიტორიაზე პრევენციული და სამართალდარღვევაზე რეაგირების ღონისძიებები განახორციელონ იმ შემთხვევაში, თუ ეს სრულიად აუცილებელია საზოგადოებრივი უსაფრთხოებისა და მართლწესრიგის დაცვისათვის.

2. საპოლიციო ძალებმა კენჭისყრის შენობის მიმდებარე ტერიტორიაზე პრევენციული და სამართალდარღვევაზე რეაგირების ღონისძიებები განახორციელონ იმ შემთხვევაში, თუ:

ა) სამინისტროს სსიპ – „112“-ში შესულია შეტყობინება, ან უშუალოდ პოლიციისათვის პირდაპირი შეტყობინების გზით იდენტიფიცირებული წყაროს მიერ მიწოდებულია ინფორმაცია, ან მედიასაშუალებით ან სხვა ღია წყაროდან მიღებულია ინფორმაცია პირის ან პირთა ჯგუფის მიერ კენჭისყრის შენობის მიმდებარე ტერიტორიაზე სამართალდარღვევის ჩადენის შესახებ;

ბ) პოლიციელი კენჭისყრის შენობის მიმდებარე ტერიტორიაზე უშუალოდ შეესწრო საზოგადოებრივი უსაფრთხოების ხელყოფის ფაქტს, მათ შორის, ხმაურს, კონფლიქტის გამწვავებას ან ისეთ ქმედებას, რომელიც უხეშად არღვევს საზოგადოებრივ წესრიგს და მოქალაქეთა სიმშვიდეს.

3. ამ მუხლის მე-2 პუნქტის „ა“ ქვეპუნქტით განსაზღვრული შეტყობინების ან სხვა ინფორმაციის მიღების შემთხვევაში პოლიციელი რეაგირების განხორციელებამდე, მის ხელთ არსებული საშუალებებით ამოწმებს ინფორმაციის ნამდვილობასა და სანდოობას, მათ შორის, საჭიროების შემთხვევაში უკავშირდება საუბნო საარჩევნო კომისიის თავმჯდომარეს.

4. ამ მუხლის მე-2 პუნქტით გათვალისწინებულ შემთხვევებში საპოლიციო ძალები თავიანთ სამოქმედო ტერიტორიაზე უზრუნველყოფენ კენჭისყრის შენობის მიმდებარე ტერიტორიაზე სათანადო რაოდენობის პოლიციელის გამოცხადებას შესაბამისი უნიფორმით.

5. ამ მუხლის მე-3 პუნქტით განსაზღვრული ინფორმაციის გადამოწმების ვალდებულება პოლიციელს არ ეკისრება იმ შემთხვევაში, თუ:

ა) საპოლიციო ძალები საქართველოს ორგანული კანონის „საქართველოს საარჩევნო კოდექსი“ 59-ე მუხლის მე-6 პუნქტის შესაბამისად საუბნო საარჩევნო კომისიის თავმჯდომარის მიერ არიან გამოძახებული;

ბ) მიღებულია შეტყობინება, რომ ჩადენილია ან შესაძლოა ჩადენილ იქნეს საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსით გათვალისწინებული მძიმე ან განსაკუთრებით მძიმე დანაშაული.

6. საზოგადოებრივი უსაფრთხოებისა და მართლწესრიგის დასაცავად კენჭისყრის შენობის მიმდებარე ტერიტორიაზე პოლიციელებმა თანაზომიერების პრინციპის დაცვით განახორციელონ „პოლიციის შესახებ“ საქართველოს კანონის მე-18 მუხლით განსაზღვრული პრევენციული და სამართალდარღვევაზე რეაგირების ღონისძიებები. პოლიციელის მიერ შერჩეული შესაბამისი საპოლიციო ღონისძიება უნდა ემსახურებოდეს ლეგიტიმური მიზნის მიღწევას, უნდა იყოს გამოსადეგი, აუცილებელი და პროპორციული. შემზღუდველი ხასიათის საპოლიციო ღონისძიების განხორციელება არ უნდა იწვევდეს პირის არჩევნებში მონაწილეობის უფლების ხელყოფას, გარდა იმ შემთხვევისა, თუ:

ა) პირის კენჭისყრის შენობის მიმდებარე ტერიტორიაზე ყოფნამ, მისი ქმედებიდან გამომდინარე, შეიძლება საარჩევნო პროცესის ბლოკირება გამოიწვიოს;

ბ) პირი კენჭისყრის შენობაში შეჭრას ცდილობს;

გ) პირი ქმნის კონფლიქტს სამართალდარღვევის პროვოცირების მიზნით.

7. საზოგადოებრივი უსაფრთხოების დაცვისათვის ან დარღვევის აღკვეთისათვის საჭირო ღონისძიებების განხორციელების შემდეგ პოლიციელები დაუყოვნებლივ ტოვებენ კენჭისყრის შენობის მიმდებარე ტერიტორიას.

8. საზოგადოებრივი უსაფრთხოებისა და მართლწესრიგის დარღვევის ან დარღვევის საფრთხის არსებობის შესახებ არასრულყოფილი ინფორმაციის ან/და საეჭვო ფაქტობრივი გარემოების (მათ შორის, მასობრივი თავშეყრა ან მასობრივი გადაადგილება კონფლიქტის გარეშე) არსებობისას, რომელიც, დიდი ალბათობით, არ მიუთითებს მოსალოდნელ უშუალო/მყისიერ საფრთხეზე, თუმცა, ამავე დროს არ გამორიცხავს საზოგადოებრივი უსაფრთხოების დარღვევის რისკს, საპოლიციო ძალების მიერ არ ხორციელდება პირის მიმართ შემზღუდველი ხასიათის ღონისძიებები. ამ შემთხვევაში საპოლიციო ძალები იღებენ უსაფრთხოების დამატებით ზომებს, მათ შორის, უზრუნველყოფენ გაძლიერებულ პატრულირებას, რისკის შემცველი ზონების პოლიციის მხედველობის არეში მოქცევას და საზოგადოებრივი უსაფრთხოების დარღვევის შემთხვევაში მყისიერი და ეფექტიანი რეაგირებისათვის მზადყოფნას.

მუხლი 3. კენჭისყრის შენობაში საპოლიციო ღონისძიებების განხორციელების საფუძვლები და პირობები

1. საქართველოს ორგანული კანონის „საქართველოს საარჩევნო კოდექსი“ 59-ე მუხლის მე-6 პუნქტის შესაბამისად საუბნო საარჩევნო კომისიის თავმჯდომარის მოთხოვნის შემთხვევაში, რა დროსაც ფორმდება შესაბამისი ოქმი, კენჭისყრის შენობაში პოლიციელებმა შესაბამისი უნიფორმით უზრუნველყონ პრევენციული და სამართალდარღვევაზე რეაგირების ღონისძიებების განხორციელება.

2. საუბნო საარჩევნო კომისიის თავმჯდომარის მიერ გამოძახების შემთხვევაში პოლიციელებმა, საჭიროების შემთხვევაში საგამოძიებო მიზნებისათვის, საქართველოს ორგანული კანონის „საქართველოს საარჩევნო კოდექსი“ მე-8 მუხლის 25-ე პუნქტის შესაბამისად, კენჭისყრის კაბინის გარდა და საარჩევნო პროცესისათვის ხელის შეშლის გარეშე, მათ ხელთ არსებული ნებისმიერი ჩამწერი საშუალებით (სამხრე ვიდეოკამერა, მობილური ტელეფონი, პლანშეტი) დააფიქსირონ მართლსაწინააღმდეგო ფაქტი.

3. პოლიციელებმა საქართველოს ორგანული კანონის „საქართველოს საარჩევნო კოდექსი“ 59-ე მუხლის მე-4 და მე-5 პუნქტების შესაბამისად კენჭისყრის შენობიდან ხამართალდამრღვევის გაძევების აღსრულება უზრუნველყონ მხოლოდ საუბნო საარჩევნო კომისიის თავმჯდომარის მიერ შესაბამისი გადაწყვეტილების მიღების შემთხვევაში.

4. საზოგადოებრივი უსაფრთხოების დაცვისათვის ან დარღვევის აღკვეთისათვის საჭირო ღონისძიებების განხორციელების შემდეგ და საუბნო საარჩევნო კომისიის თავმჯდომარის თანხმობის შემთხვევაში პოლიციელები ტოვებენ კენჭისყრის შენობას.

მუხლი 4. კენჭისყრის დასრულებიდან ხმების დათვლის პროცესის დასრულებამდე საპოლიციო ღონისძიებების განხორციელების საფუძვლები და პირობები

1. კენჭისყრის დასრულებიდან საუბნო საარჩევნო კომისიის მიერ ხმების დათვლის პროცესის დასრულებამდე, საქართველოს ორგანული კანონის „საქართველოს საარჩევნო კოდექსი“ 59-ე მუხლის მე-6 და მე-7 პუნქტების თანახმად, საუბნო საარჩევნო კომისიის თავმჯდომარის მოთხოვნის ან/და კენჭისყრის შენობის მიმდებარედ ხალხის ნაკადის არსებობის შემთხვევაში, საპოლიციო ძალებმა შესაძლო სამართალდარღვევათა აცილების/აღკვეთის მიზნით პრევენციული და სამართალდარღვევაზე რეაგირების ღონისძიებები განახორციელონ სათანადო უნიფორმით, ამ ბრძანების მე-2 მუხლის მე-6 პუნქტის შესაბამისად.

2. საუბნო საარჩევნო კომისიის მიერ ხმების დათვლის პროცესის დასრულებისას (დათვლილი ბიულეტენების საარჩევნო უბნიდან გატანა) საპოლიციო ძალები კენჭისყრის შენობის მიმდებარე ტერიტორიას ტოვებენ საზოგადოებრივი უსაფრთხოების დაცვისათვის ან დარღვევის აღკვეთისათვის საჭირო ღონისძიებების განხორციელების შემდეგ, ხოლო საუბნო საარჩევნო კომისიის თავმჯდომარის მიერ გამოძახების შემთხვევაში - მისი მხრიდან თანხმობის გაცემისთანავე.

მუხლი 5. დასკვნითი დებულებები

1. დაევალოს:

ა) ტერიტორიული ჯგუფის შემადგენლობაში არსებული დანაყოფების ხელმძღვანელებს თავიანთ დაქვემდებარებაში მყოფი მოსამსახურეებისათვის ამ ბრძანების გაცნობა;

ბ) სამინისტროს ადმინისტრაციას ბრძანებისა და მისი ინგლისურენოვანი ტექსტის სამინისტროს ვებგვერდზე (info.police.ge) გამოქვეყნება.

2. ბრძანება ამოქმედდეს სამინისტროს ვებგვერდზე მისი ოფიციალური წესით გამოქვეყნებისთანავე და ძალაშია 2016 წლის 1 ნოემბრამდე.

3. ბრძანება შეიძლება გასაჩივრდეს საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით, მისი ოფიციალურად გამოქვეყნებიდან ერთი თვის ვადაში, თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიაში (მისამართი: ქ. თბილისი, აღმაშენებლის ხეივანი, მე-12 კმ, №6).

მინისტრი გიორგი მღებრიშვილი